# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №84/ვ

05 ივნისი 2014 წელი

ქ. მცხეთა

(საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილება) ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი“, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ ლევიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „იბერია ხერვისი“, მისი დირექტორის დავით ჯოხაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტომანქანის ფოლქსვაგენი სახელმწიფო ნომრებით PHP-771 ტექ. მომსახურება. (ინვოისი თან ერთვის).(CPV50112000).

## 2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2014 წლის 15 ივნისის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა – 595 (ხუთასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გადახდა მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის, სამეურნეო განყოფილების უფროსი სპეციალისტი ზურაბ არაქელაშვილი.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 31 ივლისი ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი"

შპს „იბერია სერვისი"
ს/კ: 204982359
ა/ა GE79BG0000000875689101
ბანკი: „საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ბ/კ „BAGAGE22"
მის: ქ. თბილისი

დირექტორი

დავით ჯოხაძე

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კ: 236094196
ა/ა: GE93LB0120130269077000
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის
ფილიალი
ბ/კ: „LBRTGE22"
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.№7

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

თ. ლევანიშვილი